**დანართი №1**

# ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ ღონისძიებათა დაფინანსების პროგრამა

**მუხლი 1. პროგრამის მოქმედების სფერო და მიზანი**

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ ღონისძიებათა დაფინანსების პროგრამის (ტექსტში შემდგომ - „პროგრამა“) ფარგლებში ფინანსდებიან წინამდებარე პროგრამის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ღონისძიებებში მონაწილე ახალგაზრდები (29 წლამდე ასაკის) და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საჯარო სკოლების მოსწავლეები, ასევე სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში მონაწილე გუნდები.

2. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს:

ა) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ქვეყნის მასშტაბით გამართულ ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობას;

ბ) ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზებას.

**მუხლი 2. პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში ახალგაზრდებისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის შესაძლებელია დაფინანსდეს:

ა) მუნიციპალიტეტის გარეთ, ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე მიწვევა (პირის/პირთა ჯგუფის ტრანსპორტირების ხარჯი);

ბ) სპორტული ფორმების შეძენა და გამარჯვებულთა დაჯილდოება - სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში მონაწილე გუნდებისთვის;

გ) კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიების მოწყობა;

დ) სოციალურ–საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობა.

**მუხლი 3. პროგრამის ადმინისტრირება და კონტროლი**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და თანხის მიზნობრივად ხარჯვას აკონტროლებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, საფინანსო სამსახურთან ერთად.

**მუხლი 4. პროგრამის განხორციელების ვადები**

პროგრამის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2021 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

**მუხლი 5. შეფასების კრიტერიუმები**

პროგრამის შეფასების კრიტერიუმებია ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა სახის ღონისძიებების მოწყობა და ქვეყნის მასშტაბით გასამართ სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობის უზრუნველყოფა.

**მუხლი 6. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა**

პროგრამის დაფინანსების წყაროა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**მუხლი 7. დასკვნითი დებულება**

პროგრამაში ცვლილებების ინიცირება შეუძლია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერს დამოუკიდებლად ან ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის,

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელის მიმართვის საფუძველზე.